



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

საინფორმაციო ფურცელი № D5a: ვიზა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მსურველი გერმანული წარმოშობის პირებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის

ნოემბერი 2019

ზოგადი ინფორმაცია

ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების მსურველმა გერმანული წარმოშობის პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა მუდმივად ცხოვრების მიზნით გერმანიის ტერიტორიაზე შესვლისთვის საჭირო ვიზის მისაღებად განაცხადის შემოტანისთვის წინასწარ უნდა შეათანხმონ განაცხადის შემოტანის დრო (იხილეთ ზემოთ).

ყველა საბუთი უნდა შემოიტანოთ **ორიგინალში** ორ ასლთან ერთად (გამონაკლისები მითითებულია ქვემოთ). უცხოენოვან საბუთებს თან უნდა დაურთოთ გერმანული თარგმანი. უცხოური საბუთები მოქალაქეთა მდგომარეობის შესახებ (მაგ. დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.) აუცილებლობის შემთხვევაში უნდა იყოს ლეგალიზებული ან დამოწმებული აპოსტილით. იგივე სახის ქართულ საბუთებს უნდა ჰქონდეს აპოსტილი.

ვიზის მისაღებად საჭიროა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

- სრულყოფილად შევსებული და პირადად ხელმოწერილი ორი [საგანაცხადო ანკეტა](#):
 - განმცხადებლების შემთხვევაში, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, სავიზო განაცხადს ხელი უნდა მოაწეროს მზრუნველობის უფლების მქონე ყველა პირმა.
 - თუ მზრუნველობის უფლების მქონე ერთ-ერთ პირს არ შეუძლია სავიზო განაცხადის ხელმოწერა, მაშინ მან ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი განცხადებით უნდა დაადასტუროს თანხმობა ვიზაზე განაცხადის შეტანის შესახებ.
 - ასეთ შემთხვევაში თანხმობას თან უნდა დაურთოთ ამ პირის პასპორტის ან პირადობის მოწმობის სურათიანი გვერდის ორი ასლი.
- პირადად ხელმოწერილი განცხადება უცხოელ მოქალაქეთა სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად ამავე კანონის 53-ე მუხლიდან გამომდინარე, რომლის ნახვაც შესაძლებელია [გერმანიის საელჩოს ვებ-გვერდზე](#) (არასრულწლოვან განმცხადებლებთან დაკავშირებული მითითება იხილეთ ზემოთ);
- სამოგზაურო პასპორტი და მისი სურათიანი გვერდის ორი ასლი;
- ორი ბიომეტრიული ფოტოსურათი (ცალკე დაურთეთ განაცხადს);
- გერმანიაში მიღების თანხობა (Aufnahmebescheid / Einbeziehungsbescheid)
- თუ გერმანიაში გამგზავრება არ განხორციელდა გერმანიაში მიღების თანხომის (Aufnahmebescheid / Einbeziehungsbescheid) მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში, მაშინ უნდა წარმოადგინოთ ახალი ცნობა ნასამართლობის შესახებ.
- დაბადების მოწმობა, ასევე შესაბამის შემთხვევაში შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, გარდაცვალების და გვარის ან სახელის ცვლილების მოწმობა.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადაადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:
ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399
ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- არსებობის შემთხვევაში: ენის ცონდის სერტიფიკატი ან ენის ტესტის გავლის მოწმობა.
- სამოგზაურო სამედიცინო დაზღვევა გერმანიაში დაგეგმილი გამგზავრების პირველი ორი კვირის პერიოდისთვის. დაზღვევა უნდა წარმოადგინოთ ვიზის გაცემის დროს.
- შესაბამის შემთხვევაში დამატებითი დამადასტურებელი საბუთები
- **თუ მხოლოდ ერთი მშობელი მიემგზავრება არასრულწლოვან შვილთან ერთად**, მაშინ საჭიროა შემდეგი დამატებითი საბუთების წარმოდგენა:
 - არსებობის შემთხვევაში: მზურველობის ერთპიროვნული უფლების დამადასტურებელი საბუთი (მაგ.: მარტოხელა მშობლის ცნობა, სასამართლოს განაჩენი მეორე მშობლისთვის მზრუნველობის უფლების ჩამორთვების შესახებ ან მეორე მშობლის გარდაცვალების მოწმობა) - ორიგინალი და ასლები
 - სხვა შემთხვევაში მეორე მშობლის (რომელიც არ მიემგზავრება) თანხმობა ბავშვის სავიზო განაცხადის შეტანასთან, მის გამგზავრებასთან და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მუდმივად ცხოვრებასთან დაკავშირებით. თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიუსის მიერ და გაცემული უნდა იყოს განაცხადის შემოტანამდე ბოლო ექვსი თვის პერიოდში.
 - იმ მშობლის სამოგზაურო პასპორტის მონაცემთა გვერდის ასლი, რომელიც არ მიემგზავრება.
- **ოჯახის წევრების შემთხვევაში:** თუ გერმანული წარმოშობის პირი (ე.ი. გერმანიის დევნილთა და ლტოლვილთა საკითხების შესახებ ფედერალური კანონის (BVFG) მე-4 მუხლით გათვალისწინებული ოჯახის წევრი) უკვე გაემგზავრა გერმანიაში, დამატებით უნდა წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები: ბოლო 14 დღის პერიოდში გაცემული ცნობა საცხოვრებელ ადგილზე გერმანიაში მისი რეგისტრაციის შესახებ (Meldebescheinigung - საკმარისია ჩვეულებრივი ასლი) და BVFG-ის მე-15 მუხლის მიხედვით გაცემული ცნობა გერმანული წარმოშობის პირის გერმანიაში დაბრუნების შესახებ (Spätaussiedlerbescheinigung - საკმარისია ჩვეულებრივი ასლი).
- **ოჯახის წევრების შემთხვევაში:** თუ გერმანული წარმოშობის პირი ჯერ არ გამგზავრებულა გერმანიაში და მან გერმანიის სხვა წარმომადგენლობაში მიიღო შესაბამისი ვიზა (Visum für Spätaussiedler), მაშინ უნდა წარმოადგინოთ მისი სამოგზაურო პასპორტის მონაცემთა გვერდისა და ვიზის გვერდის ასლები.

გთხოვთ, ყველა საჭირო საბუთი წარმოადგინოთ ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით სამ კომპლექტად და შესაბამისი საბუთის წინ არსებულ პატარა ოთხკუთხედში მოხაზვით დაადასტუროთ, რომ შეგიძლიათ იქ მითითებული საბუთის წარმოდგენა.

გთხოვთ, საბუთები შემდეგი თანმიმდევრობით დააწყოთ:

- პირველ და მეორე კომპლექტში: ანკეტა და განცხადება ყველა სხვა დოკუმენტების ასლებთან ერთად ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით;
- მესამე კომპლექტში: ყველა ორიგინალი საბუთი ზემოთ მოცემული თანმიმდევრობით.

დამატებითი მითითებები:

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.



გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის საელჩო
თბილისი

მნიშვნელოვანი მითითება: სავიზო განაცხადის შემოტანაზე ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ ინტერნეტით. თარიღის დასაჯავშნად გადადით [ამ ბმულზე](http://www.tiflis.diplo.de) ან ეწვიეთ საელჩოს ვებ-გვერდს www.tiflis.diplo.de.

სატელეფონო ინფორმაცია:

ორშ. - პარ. 9 - 13 სთ., ტელ.: +995 32 2435399

ინფორმაცია ელ. ფოსტით: visa@tifl.diplo.de

- განაცხადის შემოტანისას ან განაცხადის განხილვისას შეიძლება მოვითხოვოთ დამატებითი საბუთები, რომლებიც აქ არ არის მითითებული.
- განაცხადის განხილვას როგორც წესი სჭირდება ერთი კვირა, მაგრამ ეს დრო შეიძლება გაიზარდოს.
- გთხოვთ, არ მოგვმართოთ საქმის მდგომარეობასთან დაკავშირებული შეკითხვებით ჩაბარებული სავიზო განაცხადის განხილვის პროცესში. მონაცემთა დაცვის სამართლებრივი მიზეზების გამო ჩვენ ვერ გავცემთ ტელეფონით ინფორმაციას სავიზო განაცხადების განხილვის შესახებ.
- სავიზო განაცხადის შემოტანა უფასოა.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ საბუთები სრულყოფილი სახით წარმოადგინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, თქვენი სავიზო განაცხადი უარყოფილ იქნეს.

ჩვენ რეგულარულად ვანახლებთ ამ საინფორმაციო ფურცელს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, რომ მასში მოცემული ინფორმაცია არ იყოს სრულყოფილი. ერთეულ შემთხვევებში შეიძლება დაგჭირდეთ დამატებითი საბუთების ჩაბარება.

მითითება:

ამ საინფორმაციო ფურცელში მოცემული ინფორმაცია ეყრდნობა მონაცემებსა და შეფასებებს, რომლებიც საელჩოს ტექსტის შედგენის დროისთვის გააჩნია. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციის სრულყოფილებასა და სისწორეზე, განსაკუთრებით დროდადრო შესული ცვლილებების გამო. თქვენ შეკითხვებს სიამოვნებით უპასუხებს საელჩოს სამართლებრივი და საკონსულო განყოფილება.